სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080166876129415

 # 1380

08 / დეკემბერი / **2015** წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2015 წლის 3 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის SMP150000756 და SMP150000757 მომართვები, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების მართლზომიერად ცნობას.

მომართვების მიხედვით, 2015 წლის 30 ნოემბერსა და 3 დეკემბერს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა სტიქიით დაზიანებული სახლების სახურავების შეკეთების სამუშაოების ჩატარებისათვის მოთუთიებული ღარიანი თუნუქისა და ხე-ტყის მასალის შესყიდვები.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვები გამოწვეული იყო გადაუდებელი აუცილებლობით, რადგან ბოლო პერიოდში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა სახლების სახურავები.

ამასთან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განმარტებით, აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო ამინდის გაუარესებიდან გამომდინარე და შესაბამისად, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა. ასევე, როგორც მომართვიდან ირკვევა, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო თანხები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობისაგან გამოეყო 2015 წლის 24 ნოემბერს.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვებზე, შეაფასა მათში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ ისინი აკმაყოფილებენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვები წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან, როგორც მომართვაშია აღნიშნული, სტიქიის შედეგად დაზიანდა სახლების სახურავები, რასაც შესაძლოა გამოეწვია მათი დანგრევა. ამასთან, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო, რადგან აღნიშნული მდგომარეობა ბოლო პერიოდში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა განაპირობა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვები.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი